

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა

კონსტანტინე კორკელია*

უდავოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციას, რომლის მონაწილე საქართველო 1999 წელს გახდა, განსაკუთრებული როლი ენიჭება საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.

კონვენციის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნულ დონეზე უნდა იქნას გამოყენებული ის პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბდა კონვენციის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენებაში მნიშვნელოვანი როლი ეროვნულ სასამართლოებს ენიჭება. მათ უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ევროპის კონვენცია, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ანუ ის კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომლებიც განმარტავს კონვენციის დებულებებს და ხელს უწყობს მათ სწორ გამოყენებას.

ევროპის კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით შეიძლება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილების მოშველიება და მისი შედარება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებასთან.

საქართველოს რაიონულმა სასამართლომ განიხილა ერთ-ერთი რელიგიური მიმდინარეობის მიმდევრების სარჩელი რაიონის გამგებლისა და ადგილობრივი პოლიციის რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის წინააღმდეგ. სარჩელში ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მიეცათ უფლება, დასწრებოდნენ ამ რელიგიური მიმდინარეობის მომხრეთა შეხვედრას.¹ კერძოდ, ისინი აცხადებდნენ, რომ რელიგიურ ნიადაგზე მათთან დაპირისპირებულმა მხარემ დაარბია ეს შეხვედრა, რის შედეგადაც მათ მიადგათ მატერიალური ზიანი და მიაყენეს შეურაცხყოფა.

მოსარჩელები ასევე ამტკიცებდნენ, რომ პოლიციის თანამშრომლებმა არ დაიცვეს მათი უფლებები, რის გამოც მონიშნულმა შექმლეს შეხვედრის ჩაშლა და მათი უფლებების ხელყოფა.

მოპასუხეებმა სარჩელი უსაფუძვლოდ ჩათვალეს იმის გამო, რომ რაიონის პოლიციის თანამშრომლებს მოსარჩელებისათვის არ მიუყენებიათ არც სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და არც მორალური თუ მატერიალური ზიანი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მის მარწმუნებლებს არ დაურბევიათ შეხვედრა. ის ასევე აცხადებდა, რომ არც ერთ მოსარჩელეს არ დაუსახელებია პოლიციის თანამშრომელი, რომელმაც მიაყენა შეურაცხყოფა ან დაეხმარა მოსარჩელებთან დაპირისპირებულ მხარეს რელიგიური შეხვედრის დარბევაში. საყურადღებოა რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ჩვენება, რომლის თანახმად, „პოლიციის კომპეტენციაში არ შედის სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობის წევრების დაცვა, ამისათვის არსებობს დაცვის პოლიცია“.

რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა უსაფუძვლოდ ჩათვალა და არ დააკმაყოფილა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიცია ხელს არ უშლიდა რელიგიური მიმდინარეობის მომხრეებს, დასწრებოდნენ რელიგიურ შეხვედრას. სასამართლომ ასევე

* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

¹ იხ. მარნეულის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, 3/9-2002, 2002 წლის 13 მაისი.

აღნიშნა, რომ მოსარჩელებს შეურაცხყოფა და მატერიალური ზიანი მიაყენა მათთან დაპირისპირებულმა მხარემ, რასაც პოლიციის თანამშრომლები ხელს არ უწყობდნენ. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ვიდეომასალებით არ დადასტურდა პოლიციის თანამშრომელთა ჩარევა რელიგიური შეხვედრის დარბევაში.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია, რომლის თანახმად, პოლიციამ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 და მე-14 მუხლები, თუმცა სასამართლომ მოხსენიებული კონვენციის ამ მუხლების შინაარსის დასადგენად არ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნათელია. მან მიიჩნია, რომ რამდენადაც სახელმწიფო ორგანოს (შინაგან საქმეთა სამინისტროს) თანამშრომლებმა თავად არ დაარბიეს რელიგიური შეხვედრა ან ხელი არ შეუწყვეს მის დარბევას, ისინი არ არიან პასუხისმგებელი უფლების დარღვევისათვის.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით, აუცილებელია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განხილვა.

1988 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ავსტრიის წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადი (საქმე *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ*), რომელიც ეხებოდა შეკრების თავისუფლებას (კონვენციის მე-11 მუხლი).² ევროპულ სასამართლოში განაცხადი შეიტანა ავსტრიელ ექიმთა ასოციაციამ, რომელიც ახორციელებდა აბორტის საწინააღმდეგო კამპანიას. საჩივარი ეხებოდა ასოციაციის ორ დემონსტრაციას, რომლის ჩატარებას ხელი შეუშალა ამ კამპანიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა. ასოციაციის წევრთა პირველი დემონსტრაციის დროს აბორტის მომხრეებმა ხელი შეუშალეს დემონსტრაციას, რისთვისაც გამოიყენეს ხმის გამაძლიერებლები და დემონსტრანტებს კვერცხები დაუშინეს. პოლიციელები, რომლებიც ესწრებოდნენ დემონსტრაციას, ჩაერივნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეებს შორის დაპირისპირება გამწვავდა და მისი ფიზიკურ ძალადობაში გადაზრდის რეალური საფრთხე შეიქმნა. აბორტის მოწინააღმდეგეთა ჯგუფმა ხელი შეუშალა ასოციაციის მეორე დემონსტრაციასაც.

ევროპულ სასამართლოში შეტანილ განაცხადში ასოციაცია ამტკიცებდა, რომ ავსტრიის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო დემონსტრანტები შეკრების თავისუფლების უფლებით, რომელიც გათვალისწინებულია ევროპის კონვენციის მე-11 მუხლით.³ ამის საწინააღმდეგოდ, ავსტრიის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ევროპის კონვენციის მე-11 მუხლი არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს დემონსტრანტთა დაცვა. მთავრობის პოზიციით, საკმარისია, რომ დემონსტრანტებს თავად სახელმწიფომ არ შეუშალოს ხელი დემონსტრაციის განხორციელებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით დაადგინა:

„მშვიდობიანი შეკრების ჭეშმარიტი, ეფექტიანი თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ჩაურევლობის მოვალეობით: სახელმწიფოს როლის წმინდა ნეგატიური კონცეფცია შეუთავსებელი იქნება მე-11 მუხლის ობიექტსა და მიზანთან. მე-8 მუხლის მსგავსად, მე-11 მუხლი ხანდახან მოითხოვს პოზიტიური ღონისძიების გატარებას ინდივიდებს შორის ურთიერთობების სფეროშიც კი, თუ არსებობს ამის საჭიროება“.⁴

² საქმე *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ*, 1988 წელი, Series A, No.139.

³ ევროპის კონვენციის მე-11(1) მუხლი ადგენს, რომ „ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით“. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ანებსებს შესაძლო შეზღუდვებს ამ უფლების განხორციელებაზე.

⁴ საქმე *პლატფორმა „ექიმები სიცოცხლისათვის“ ავსტრიის წინააღმდეგ*, 1988 წელი, Series A, No.139, 32-ე პუნქტი; ასევე იხ. X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ, 1985 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, 23-ე პუნქტი.

ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ნათელი მოჰფინა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულების ფარგლებს. ამ გადაწყვეტილებით ევროპის კონვენციის მე-11 მუხლი მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას—სახელმწიფომ უშუალოდ არ აკრძალოს დემონსტრაცია, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც—სახელმწიფომ უზრუნველყოს დემონსტრაციის მშვიდობიანი ჩატარება, მათ შორის, დაიცვას დემონსტრანტები მათი იდეური მონინალმდეგეებისაგან.⁵ სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ თავი შეიკავოს კონვენციითა და მისი ოქმებით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების უშუალოდ დარღვევისაგან, არამედ ვალდებულია “უზრუნველყოს” მათი დაცვა მესამე მხარის, ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ.⁶ თუ ევროპის კონვენციაში გათვალისწინებული უფლებები დაირღვა ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დარღვეულ უფლებათა ეფექტიანი დაცვა.

აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფო ვერ გაიმართლებს თავს იმით, რომ იგი უშუალოდ კი არ არღვევს იურიდიული ან ფიზიკური პირის უფლებებს, არამედ მათი უფლებები ირღვევა მესამე მხარის (პირთა ან პირთა ჯგუფის) მიერ.⁷

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და მოცულობა. კონვენციის დებულებათა განმარტება ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა ფარგლებსა და შინაარსს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.⁸ ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით. ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით. ამიტომაც ეროვნულმა სასამართლოებმა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის სწორი განმარტებისათვის უნდა გამოიყენოს არა მხოლოდ ევროპის კონვენცია, არამედ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

ამ საქმეში მართალია, გამოყენებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია, მაგრამ იმის გამო, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, მან კონვენცია არ განმარტა იმ მნიშვნელობით, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ. შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ პრეცედენტის გამოყენების შემთხვევაში საქართველოს რაიონული სასამართლო სხვაგვარად შეაფასებდა მის წინაშე არსებულ დავას.

⁵ *Merrills*, The Development of International Law by the European Court of Human Rights, 1993, 105-106.

⁶ *Harris/O'Boyle/ Warbrick*, Law of the European Convention on Human Rights, 1995, 19; *Jensen*, The European Convention on Human Rights in Scandinavian Law: A Case Law Study, 1992, 179.

⁷ *Starmer*, European Human Rights Law: The Human Rights Act 1998 and the European Convention on Human Rights, 1999, 194-195.

⁸ *Polakiewicz*, The Execution of Judgements of the European Court of Human Rights, in: Fundamental Rights in Europe: The European Convention on Human Rights and its Member States (1950-2000), *Blackburn/Polakiewicz* (Eds.), 2001, 72-73.